სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: „განათლების მეცნიერებები“

განმახორციელებელი უნივერსიტეტ(ებ)ი/ფაკულტეტ(ებ)ი	- **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (წარმდგენი უნივერსიტეტი)/** ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი მისამართი: საქართველო, 0179, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N1; ტელეფონი: +995 2 22 02 41 / 2 2 2 51 07 ; ვებგვერდი: www.tsu.ge ; ელ.ფოსტა: chancellery@tsu.ge - **სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი /** ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი მისამართი: საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის /რუსთაველის ქ. N35/32; ტელეფონი: +995(422) 27 17 86; ვებგვერდი: www.bsu.edu.ge; ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge - **სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი /** პედაგოგიური ფაკულტეტი მისამართი: საქართველო, 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. N59; ტელეფონი: +995 431242173; ვებგვერდი: ww.atsu.edu.ge; ელ.ფოსტა: info@atsu.edu.ge - **სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი /** განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი მისამართი: საქართველო, 2200, თელავი,ქართული უნივერსიტეტის ქ. N1; ტელეფონი: +995 35027 24 01; ებგვერდი: www.tesau.edu.ge; ელ.ფოსტა: info@tesau.edu.ge
კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერებების დოქტორი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს: - მოამზადოს მკვლევარი, რომელიც შეძლებს თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო სივრცის საჭიროებებისა და გამოწვევების გადაწყვეტას საფუძვლად დაუდოს მეცნიერული კვლევები. - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის გამოცდილებისა და განვითარების გაზიარების კვალდაკვალ, შეძლებს ახალი ცოდნის შექმნას და მის საფუძველზე სერიოზული წვლილის შეტანას ქართული და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის განვითარების პროცესში .სწავლა-სწავლების პროცესის კანონზომიერებების ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა. პროგრამის მიზანი კონცეპტუალურად ეფუძნება პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტების მისიასა და ხედვას- მოამზადოს განათლების მეცნიერებების დარგების მკვლევარი, რომელსაც ექნება სფეროს ფუნდამენტური ცოდნა, კვლევითი უნარ-ჩვევები და პროფესიული კომპეტენციები, გაცნობიერებული ექნება საკუთარი როლი ქვეყნის

	ტრადიციული ღირებულებების დაცვისა და ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით.
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება:** - განაზოგადებს პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის, კვლევის მეთოდების შესახებ არსებულ თეორიულ ცოდნას და აფასებს/აყალიბებს კონკრეტული სიტუაციის შესაბამის პრობლემას; - აცნობიერებს ზოგადი და შესაბამისი/ კონკრეტული დარგის სწავლა/სწავლების პრინციპებს, ტექნოლოგიების, შეფასების მეთოდებს, რომლებიც დაფუძნებულია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკებზე, ახდენს მათ კლასიფიცირებასა და მოდიფიცირებას; - აანალიზებს და აფასებს ქვეყნის განათლების პოლიტიკის ძირითად ტენდენციებს, ისტორიულ რაკურსსა და არსებულ გამოწვევებს; - განათლების სფეროში არსებული პრობლემის გამოკვლევისთვის ახდენს ინოვაციური მეთოდების ინტეგრირებას, მულტიდისციპლინურ/ ინტერდისციპლინურ კონტექსტში; **უნარები:** - ავლენს განათლების მეცნიერებებში სამეცნიერო სიახლეებისა თუ მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარებს; - პედაგოგიური საქმიანობის პროცესში, თვითრეფლექსიისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების საფუძველზე, იყენებს სწავლების თანამედროვე მიდგომებს, მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, ინიცირებს მათ მოდიფიცირებას; - აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დამოუკიდებლად გეგმავს და ახდენს კვლევის კონსტრუირებას განათლების სფეროში, ქმნის ახალ ცოდნას კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების და მიდგომების საშუალებით, შედეგებს წარადგენს აკადემიურ წრეებში, საერთშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტების დაცვით; **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** - აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ახორციელებს განათლების მეცნიერებების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს და ინოვაციურობის დემონსტირირებით წარადგენს მათ პროფესიულ წრეებში; მტკიცე არგუმენტებით ადასტურებს საკუთარ მიდგომებს და სთავაზობს მათ დაინტერესებულ მხარეებს; -ახორციელებს საკუთარი საქმიანობის რეფლექსიას, შეფასებას და განსაზღვრავს საკუთარი პროფესიული განვითარების ეტაპებს.
პროგრამაზე მიღების პირობები	ბსუ-ს პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის გამოცხადება ხდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე. ფაკულტეტი შუამდგომლობას აღძრავს მას შემდეგ, რაც დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს ხედვას საკვლევი თემის შესახებ და დადასტურდება სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა.

	დოქტორანტობის კანდიდატმა წარმდგენი უნივერსიტეტის (თსუ) რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით უნდა წარადგინოს დოკუმენტაცია: ა) განცხადება წარმდგენი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე; ბ) განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV); გ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის დამოწმებული ასლი; 3-წლიანი სამუშაო გამოცდილება განათლების სფეროში - მათთვის, ვისაც განათლების დარგების მაგისტრის ხარისხი არ აქვს; დ) ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი საბუთი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული); ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; ვ) მმართველი საბჭოს თანხმობა; ზ) სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა; თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ი) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში); ლ) ფოტოსურათი (3X4) – ბეჭდური 2 ც. და ელექტრონული ვერსია CD - ზე; დოქტორანტობის კანდიდატი დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად გადის შემდეგ საფეხურებს: ა) აბარებს ინგლისური ენის გამოცდას (B 2 დონე); ბ) აბარებს მისაღებ გამოცდას სპეციალობაში (წერითი ფორმით); გ) წერილობითი ფორმით წარმოადგენს საკვლევი თემის განვითარების ხედვას; დ) გადის გასაუბრებას (საკვლევი თემის შესახებ);
სასწავლო კომპონენტი	პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს (იხილეთ სასწავლო გეგმა). *სასწავლო კომპონენტის შეფასება* ითვალისწინებს: სტუდენტის ლექციაზე აქტიურობას; შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებას; სტუდენტის პრეზენტაციისა /დოქტორანტის სემინარი/ და პროექტზე მუშაობის უნარს /კოლოკვიუმი/; დამოუკიდებელ მუშაობას; შეფასება წარმოებს როგორც ზეპირი, ისე წერითი კომპონენეტებით. შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიანკარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

	ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სამეცნიერო კომპონენტი	სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული 2 სამეცნიერო-კვლევითი პროექტი. დოქტორანტი პროექტის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს მმართველ საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ წარუდგენს განმახორციელებელ ფაკულტეტს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირი განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება მმართველი საბჭოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და განმახორციელებელი ფაკულტეტის წარმომადგენლების ჩართულობით. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ს ქ ე მ ა მოიცავს: ა) სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირ განხილვა/პრეზენტაციას. პროექტი 1: საკვლევი პრობლემის დასმა, მისი ასახვა სამეცნიერო ლიტერატურაში; სადისერტაციო შრომის მეთოდოლოგია და ზოგადი სტრუქტურა; პროექტი 2: კვლევის ანალიზი, შედეგები და ინტერპრეტაცია; ბ) დისერტაციის მოსმენა/პრეზენტაცია მმართველი საბჭოსა და განმახორციელებელი ფაკულტეტების წარმომადგენელთა წინაშე. (დისერტაციის დაცვის წინა სემესტრი); გ) გარე შემფასებლის წინასწარი ექსპერტიზა (დისერტაციის დაცვის წინა სემესტრი); დ) დასრულებული დისერტაცია; ე) სამეცნიერო პუბლიკაციები.
მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომის მიმართ	დოქტორანტმა დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში უნდა გამოაქვეყნოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ორი სტატია (ავტორი / თანაავტორი): ა) Scopus-ში ან Web of Science-ში ინდექსირებულ რომელიმე ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში - conference proceedings) - აუცილებელია მინიმუმ 1 მაინც; ბ) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში. დეტალური ინფორმაცია დისერტაციის დაცვის პროცედურაზე იხილეთ ბმულზე.
საკონტაქტო პირი	**ლელა თურმანიძე**-ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **საკონტაქტო ინფორმაცია:** ტელეფონი: (+995) 577179797 ელ. ფოსტა: lela.turmanidze@bsu.edu.ge **ლელა თავდგირიძე**-ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი **საკონტაქტო ინფორმაცია:** ტელეფონი:(+995)577979379 ელ.ფოსტა:lela.tavdgiridze@bsu.edu.ge